სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

37638819534212

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულება/მინდობილობა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი:

12012486

რეგისტრაციის თარიღი:

13 თებერვალი, 2012 წ.

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე
მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული,
0102 ქ. თბილისი, საქართველო,
ტელ/ფაქსი: 95-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–შემოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 66 19 18**

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

ორი ათას თორმეტი წლის ცამეტ თებერვალს მე, **ოთარ ზოიძეს,** ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #21, მე-4 სართული, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა - ბატონმა **გელა მიქაძემ** (დაბადებული 30.01.1971 წ. გორში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ლალიონის შესახვევი №5, პირადი №01030005161).

მან განაცხადა, რომ:

ა) არის **შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის"** (რეგისტრირებული 23.06.2008 წ. საიდენტიფიკაციო #204557014, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა #2) გენერალური დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ბ) სურს **შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის"** რწმუნებულის სპეციალური უფლებამოსილება მიანიჭოს **დავით ცხვედიანს** (დაბადებული 22.03.1973 წ. პირადი №01006006949, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, დიღმის მას. IV კვარტალი, კორპუსი #23, ბინა #51).

მე შევამოწმე გელა მიქაძის უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს ,,რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის" შესახებ (მომზადების თარიღი: 22/03/2011 11:44:24).

2) სანოტარო აქტი შპს "რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის" დაფუძნების შესახებ (მიღებული 23.06.2008 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: #1-2732).

მან მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

„გელა მიქაძემ (დაბადებული 30.01.1971 წ. გორში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ლალიონის შესახვევი №5, პირადი №01030005161), როგორც **შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის"** (რეგისტრირებული 23.06.2008 წ. საიდენტიფიკაციო #204557014, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა #2) გენერალურმა დირექტორმა, **დავით გოგიჩაიშვილს** (დაბადებული 06.10.1975 წ. პირადი №01010007570), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „რწმუნებული", მიანიჭა მიანიჭა შპს **„რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის"** (რეგისტრირებული 23.06.2008 წ. საიდენტიფიკაციო #204557014, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა #2) (შემდგომში - „მარწმუნებელი") რწმუნებულის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი

1. რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის სახელით უზრუნველყოს არსებული სამშენებლო ნებართვის (ნომერი ნ/1869-1, ცვლილების ნომერი 4376) მოქმედების ვადის გაგრძელება.

2. ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, მათ შორის:

ა) წარმოადგინოს მარწმუნებელი ქ. თბილისის მერიის ნებისმიერ სამსახურთან (მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო და/ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან), წარადგინოს განცხადებები, შუამდგომლობები, პროექტები და სხვა დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

გ) წარმოადგინოს მარწმუნებელი ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც წარმოიშობა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში და მის საფუძველზე.

დ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელი იქნება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 2. უფლებამოსილების განხორციელება მარწმუნებლის სახელით

1. რწმუნებული მოქმედებს მარწმუნებლის სახელით. ნებისმიერი აქტის (მოქმედება, დოკუმენტის შედგენა, დოკუმენტზე ხელმოწერა და სხვა) შესრულებისას რწმუნებული ვალდებულია მიუთითოს მარწმუნებლის დასახელება და აღნიშნოს, რომ რწმუნებული ამ აქტს ასრულებს მარწმუნებლის სახელით მარწმუნებლის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. რწმუნებულმა უნდა მიუთითოს ის დოკუმენტი (დოკუმენტის რეკვიზიტები), რომლის საფუძველზეც მარწმუნებლის სახელით ახორციელებს უფლებამოსილებას.

მუხლი 3. მარწმუნებლის მითითების შესრულება

1. რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მარწმუნებლის მითითებანი.

2. მესამე პირის მიმართ არსებობს რწმუნებულის მიერ მარწმუნებლის მითითებების შესრულების პრეზუმფცია: ივარაუდება, რომ რწმუნებულმა მესამე პირების მიმართ წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი შეასრულა მარწმუნებლის მითითებების ფარგლებში და მის საფუძველზე.

მუხლი 4. უფლებამოსილების შესრულება ჯეროვნად

1. რწმუნებული ვალდებულია, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

2. რწმუნებული ვალდებულია, თავიდან აიცილოს პირად ინტერესებსა და მარწმუნებლის ინტერესებს შორის კონფლიქტი; ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისთანავე იგი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მარწმუნებელს.

3. რწმუნებული ვალდებულია, მარწმუნებელს აუნაზღაუროს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანი.

მუხლი 5. უფლებამოსილების განხორციელება პირადად. უფლებამოსილების გადაცემა მესამე პირისათვის

1. რწმუნებული ვალდებულია, უფლებამოსილება განახორციელოს პირადად.

2. რწმუნებულს ეკრძალება მინიჭებული უფლებამოსილების მესამე პირისათვის გადაცემა.

მუხლი 6. რწმუნებულის ხარჯების ანაზღაურება

1. მარწმუნებელი ვალდებულია, რწმუნებულს აუნაზღაუროს ყველა ხარჯი, რომელიც აუცილებელი იქნება უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. რწმუნებული წინამდებარე აქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში დამატებითი გასამრჯელოს გარეშე.

მუხლი 7. ინფორმირების ვალდებულება. კონფიდენციალობა

1. რწმუნებული ვალდებულია:

ა) მარწმუნებელს პერიოდულად მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

ბ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

გ) გადასცეს მარწმუნებლის კუთვნილი დოკუმენტები.

მუხლი 8. უფლებამოსილების ვადა

1. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე (მოშლამდე).

2. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

2. წინამდებარე აქტი შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.“

დანართები:

I. წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 1 (ერთი) დოკუმენტი:

1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს ,,რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის” შესახებ (მომზადების თარიღი: 22/03/2011 11:44:24).

II. ჩემს სანოტარო არქივში ინახება შემდეგი დოკუმენტი:

1) სანოტარო აქტი შპს “რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის” დაფუძნების შესახებ (მიღებული 23.06.2008 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: #1-2732).

სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი: ქ. თბილისი, თელავის ქუჩა #20.

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31, 34, 39 მუხლებისა):

ა) ნოტარიუსის საზღაური: 30,0 ლარი;

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2,0 ლარი;

წინამდებარე აქტი მე, ნოტარიუსმა წავუკითხე გელა მიქაძეს. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს მას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა წინამდებარე აქტს.

ყოველივე ზემოთქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.